ხელშეკრულება №67

"01" აგვისტო 2016 წ. ქ.თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

1.1. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტისა და 2015 წლის 17 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, ერთი მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია (მისამართი: ქ.გორი, სტალინის გამზირი №16) სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის იოსებ ოქრომელიძის სახით და მეორე მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი/შემსრულებელი**) შპს „ბესთსაბ ჯორჯია" (იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ნაგომარის ქ. №51/ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. №283) მისი დირექტორის ბადრი აბულაძის სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საოფისე მანქანა–დანადგრები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა (CPV301) შესყიდვა. (იხ.დანართი №1)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 90 (ოთხმოცდაათი) ლარით.

4. სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება 2016 წლის 01 აგვისტოდან 2016 წლის 06 აგვისტომდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. №283.

5. მიღება ჩაბარების წესი

5. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, შემოტანილი საქონლის საერთო ღირებულების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შემოტანილი საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
9.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.
9.3. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4 (ოთხი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება და/ან არაჯეროვნად შესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულ იქნა ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა დაუძლეველი ძალით. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს

შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 01 აგვისტოდან 2016 წლის 30 სექტემბრამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
13.2. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.
13.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს გვანცა ცომაია – გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციაში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის აპარტის სპეციალისტი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს გიორგი იაკობაშვილი – გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციაში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის აპარტის უფროსი სპეციალისტი.
13.4.ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი

ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

14.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმოწერ მხარეებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი: გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა
და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო
რწმუნებული–გუბერნატორის ადმინისტარცია, სახელმწიფო
რწმუნებული–გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი
იოსებ ოქრომელიძე
(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა _____
ბ.ა

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESG22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE24NB0330100200165022
საინდეტიფიკაციო კოდი: 217889514

შემსრულებელი: შპს „ბესთსაბ ჯორჯია“
დირექტორი ბადრი აბულაძე
(მიმწოდებლის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა _____
ბ.ა

საბანკო რეკვიზიტები
მიმწოდებლის ბანკი: სს " პროკრედიტ ბანკი“
კოდი:MIBGGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE59PC0653600100002073
საიდენტიფიკაციო კოდი: 400134056

დანართი №1

2016 წლის 01 აგვისტოს №67 ხელშეკრულებასთან

ფასთა ცხრილი

№	მომსახურების (საქონლის) დასახელება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში)	საერთო ღირებულება (ლარში)	საქონლის (მომსახურების) მიწოდების ვადა	საქონლის (მომსახურების) მიწოდების ადგილი
1	მელანი უნივერსალი BLACK 100 მლ. InkSystem	301	1	15	15	01.08.2016 06.08.2016	ქ. თბილისი, ც.დადიანის ქ. №283
2	მელანი უნივერსალი Cyan 100 მლ. InkSystem	301	1	15	15		
3	მელანი უნივერსალი Magenta 100 მლ. InkSystem	301	1	15	15		
4	მელანი უნივერსალი Yello 100 მლ. InkSystem	301	1	15	15		
5	მელანი უნივერსალი LightCyan 100 მლ. InkSystem	301	1	15	15		
6	მელანი უნივერსალი LightMagenta 100მლ. InkSystem	301	1	15	15		
სულ					90		

შენიშვა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულებას შორის სხვაობის შემთხევაში უპირატესობა ენიჭება ერთეულის ფასს.

შემსყიდველი:გორის,კასპის,ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორის ადმინისტრაცია, სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორის მოადგილის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე

(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ბ.ა

მიმწოდებელი: შპს "ბესთსაბ ჯორჯია"
დირექტორი ბადრი აბულაძე

(მიმწოდებლის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ბ.ა

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.გორი

01 აგვისტო 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ საოფისე მანქანა–დანადგრები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა სახელმწიფო შესყიდვისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა
და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო
რწმუნებულის–გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი — იოსებ ოქრომელიძე

<u>შესყიდვების კოორდინატორი</u>
გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა
და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო
რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის
აპარატის სპეციალისტი

გვანცა ციმაია

<u>მატერიალურ–ტექნიკურ ქონებაზე პასუხისმგებელი პირი</u>
გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა
და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო
რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის
აპარატის უფროსი სპეციალისტი

გიორგი იაკობაშვილი